ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

EUGIPP

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ideas powered @SCHOOL

ინტელექტუალური საკუთრება (IP) განათლებაში

ინტელექტუალური საკუთრების დღის აქტივობები

ლოგოს შექმნა

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

შემოქმედებითობის/კრეატიულობის საკლასო აქტივობები

აქტივობის შესახებ	მოსწავლეები შექმნიან პერსონალურ ლოგოს, რომელიც მათ პიროვნულ მხარეებს გამოხატავს. სახელის ბარათების (ბეიჯების) შექმნის აქტივობისას დამზადებული ნიმუშები იხილეთ მომდევნო გვერდზე.
საფეხური / ასაკი	ყველა
დრო / ხანგრძლივობა	ორი 45-წუთიანი გაკვეთილი
მიზანი	მოცემული აქტივობა საშუალებას აძლევს ყველა ასაკის მოსწავლეებს, გამოხატონ საკუთარი შემოქმედებითობა/კრეატიულობა პერსონალური ლოგოს დამზადებით, რომელსაც შემდგომ ბეიჯის, მაისურის ან სხვა ნივთის გასაფორმებლად გამოიყენებენ. დამზადებული ლოგოს საფუძველზე მოსწავლეებს შეუძლიათ სერტიფიკატის მიღება სარეგისტრაციო ჯიხურში; ასევე, შესაძლებელია ლოგოების დიზაინის განხილვა ინტელექტუალური საკუთრების სპეციალისტებთან გამართული მასტერკლასის მსვლელობისას (იხილეთ შესაბამისი ნაწილები).
სწავლის შედეგები	მოსწავლეები: • გაეცნობიან ორიგინალური და გამორჩეული დიზაინის შექმნის პროცესს, რაც მათ საკუთარი კრეატიულობის ფასს დაანახებს; • გააცნობიერებენ სხვათა ნამუშევრების პატივისცემის საჭიროებას, რაც, თავის მხრივ, მათი ნამუშევრების პატივისცემის წინაპირობაცაა; • შეძლებენ იმის ახსნას, თუ რა გზებით იცავს ინტელექტუალური საკუთრება შექმნილ ნამუშევარს და როგორ გამოიყენება ის პრაქტიკულ სიტუაციებში.
კომპეტენციები	• ციფრული კომპეტენცია • პიროვნული და სოციალური კომპეტენცია • სწავლის სწავლა • მოქალაქეობრივი კომპეტენცია • სამეწარმეო კომპეტენცია • კულტურული გაცნობიერებულობისა და თვითგამოხატვის კომპეტენცია
მომზადება	მნიშვნელოვანია, რომ თავიდან მოსწავლეები გაეცნონ ლოგოს დიზაინთან დაკავშირებულ საკითხებს. მასწავლებლებს შეუძლიათ სპეციალური აქტივობის ჩატარება, რომლის დროსაც მოსწავლეები ამოიცნობენ და დაახასიათებენ სხვადასხვა ტიპის პროდუქტის/სერვისის ლოგოებს. შესაძლებელია საქველმოქმედო და სოციალური საწარმოების ლოგოებზე კონცენტრირებაც, რათა მოსწავლეების ყურადღება ზედმეტად არ გამახვილდეს კომერციულ ორგანიზაციებზე.
რესურსები	• ინტელექტუალური საკუთრების გზამკვლევი მოსწავლეებისათვის • ხატვისა და ხელგარჯილობის მასალები • კომპიუტერული აღჭურვილობა ან ციფრული ინსტრუმენტები იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ლოგოს შექმნას ციფრულ ფორმატში მოისურვებენ.
ინტელექტუალური საკუთრების დღის აქტივობის ნიმუში Ideas Powered @ School მასალიდან	მოსწავლეებმა მასწავლებლებისგან მიიღეს სპეციალური ინსტრუქციები პერსონალური ლოგოს დიზაინის ხერხების შესახებ. პერსონალური ლოგოები სახელის ბარათებზე განთავსებისთვის შეიქმნა. ასევე შესაძლებელი იყო ლოგოს განთავსება მაისურებზეც. ეს მეტად მოქნილი აქტივობა იყო, ვინაიდან მისი ჩატარება ადვილად ერგებოდა გაკვეთილების განრიგს. მოსწავლეებმა დაინახეს მათ მიერ შექმნილი ორიგინალური ნამუშევრების ფასი და მნიშვნელობა. მომდევნო გვერდზე შეგიძლიათ დაათვალიეროთ ერთ-ერთი ასეთი დღის ფარგლებში, ლოგოების შექმნის აქტივობის დროს დამზადებული ნამუშევრები.

DANI

GASPAR

OLIVIA

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და მასალების ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებგვერდს: www.ideaspowered.eu
ან გაგზავნეთ წერილი მისამართზე: IPinEducation@euipo.europa.eu

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EUGIPP
ევროკავშირის და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების სააგენტო
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

ideas powered @SCHOOL

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE